

ჟიულ-ნაპოლეონ ნეი

ცენტრალურ აზიაში ორთქმავლით..

ნაპოლეონ I-ის ცნობილი მარშლის, ნეის შვილიშვილი ჟიულ-ნაპოლეონ ნეი (1849-1900), მოგზაური, ჟურნალისტი, მწერალი და სპორტსმენი, საფრანგეთ-პრუსიის 1870-1871 წლების ომის მონაწილე, საპატიო ლეგიონის ოფიცერი (1872) 1888 წელს სამარყანდში იმიერკასპიის ოლქის რკინიგზის ხაზის გახსნაზე მიიწვიეს¹. ამგვარად, მისთვის ისევე, როგორც ედგარ ბულანჟიესა და ედმონ კოტოსათვის, საქართველო შუა აზიისკენ მიმავალი სატრანზიტო დერეფანი იყო. სხვა ცნობებს შორის, ის გვაწვდის ცნობებს თბილისის მოსახლეობის შესახებ.

Napoléon Ney. En Asie Central à la vapeur: La mer Noire, la Crimée, Le Caucase, la mer Caspienne, les chemin de Fer Transcaspien, l'Asie centrale, Merv, Bokhara, Samarkand. Notes de voyage. Preface de Pierre Véron, dessins de Dick de Longlay, avec deux cartes. Paris: Garnier Frères - Editeurs, 1888

J'ai parlé de colonies tout à l'heure. Nous sommes, m'apprend encore mon guide, dans la partie de Tiflis qui (121) porte ce nom : « la Colonie ». Un des faubourgs est exclusivement peuplé d'Allemands originaires du Wurtemberg. Or une colonie allemande ne va pas sans brasserie. Ce qui explique que Tiflis en possède une, très fréquentée par les Allemands, qui sont ici plus de deux mille ; par les Russes, les Arméniens, voire même les Géorgiens. Je n'ai pas entendu dire que les Allemands de Tiflis, dont la plupart s'occupent de culture, aient pris à l'égard des colonies étrangères et en particulier de la colonie française beaucoup plus restreinte comme nombre, cette attitude arrogante qui est si justement reprochée aux Allemands dans certains pays. Ils sont travailleurs et ne font pas de bruit. A ce point de vue, la colonie française, beaucoup moins nombreuse et très honorable, n'a rien à envier à la colonie allemande. La pluie tombe toujours. Nous passons devant le jardin public, devant le palais du gouverneur, devant le cercle arménien. Nous voici sur la place du théâtre. La voiture s'arrête à l'hôtel du Caucase. Nous descendons au milieu d'une boue gluante, en bénissant les snow-boots que nous avons aux pieds, précieux cadeau que nous devons à la munificence de la municipalité de Mont-Réal (Canada), un jour qu'il y pleuvait comme aujourd'hui à Tiflis.

კოლონიები ვახსენე. ჩვენ თბილისის იმ ნაწილში ვართ, მიმეორებს გიდი, რომელსაც „კოლონია“ ეწოდება. ერთი უბანი ექსკლუზიურად ვიურტემბერგელი გერმანელებითაა დასახლებული. გერმანული კოლონია კი წარმოუდგენელია ლუდხანის გარეშე. ეს განმარტავს, რატომ არის თბილისში ერთი ლუდხანა, სადაც ხშირად დადიან გერმანელები, – რომლებიც აქ 2,000 სულზე მეტნი არიან, – აგრეთვე რუსები, სომხები და ქართველებიც კი. მე არ გამიგია, რომ თბილისელ გერმანელებს, რომელთა უდიდესი ნაწილი სოფლის მეურნეობას მისდევს, უცხოური კოლონიების, კერძოდ კი უფრო მცირერიცხოვანი ფრანგული კოლონიის მიმართ, ქედმაღლური დამოკიდებულება ჰქონოდათ, რის გამო მათ სამართლიანად კიცხავენ ზოგიერთ ქვეყანაში. ისინი მშრომელები არიან და მშვიდად ცხოვრობენ. ამ თვალსაზრისით, ფრანგულ კოლონიას, გაცილებით მცირერიცხოვანს და მეტად ღირსეულს, არაფერი აქვს გერმანული კოლონიის შესაშური.

¹ 1896 წელს, ნაპოლეონ ნეი, როგორც საფრანგეთ-რუსეთის მეგობრობის დიდი მხარდამჭერი, ნიკოლოზ II-ს კორონაციაზე დასასწრებად მიიწვიეს.

Ces Persans sont vraiment un peuple très aimable. Je ne peux me défendre pour eux d'une certaine sympathie. On les appelle, ils se disent eux-mêmes « les Français de l'Asie». (126)

ეს სპარსელები მართლაც ძალიან სასიამოვნო ხალხია. მათ მიმართ გარკვეული სიმპათიით ვარ განწყობილი. ისინი თავის თავს „აზიის ფრანგებს“ უწოდებენ...

Il y a une autre raison à mon sentiment. Moralité de marchand à part, les Persans qui vendent dans les bazars d'Orient sont généralement doux, souriants, polis, gracieux mêmes. Alors que les autres Musulmans sont vis-à-vis de l'acheteur froids, indifférents, glacés, impassibles, le Persan fait des frais... sans forcer cependant la (126) note. Puis ce sont des rêveurs, des liseurs. Souvent, quand on s'approche de sa noire boutique, le Persan est absorbé par une lecture qu'il interrompt pour saluer son visiteur. Le livre reste ouvert devant lui. Un Arménien, un Juif ou un Turc, aurait sous les yeux un grimoire couvert de chiffres où le marchand compulse à chaque heure du jour son doit et son avoir. Ici, tout au contraire, si vous regardez le livre, vous y verrez des caractères joliment calligraphiés, des images délicatement peintes, des lettres ornées et des encadrements gracieux. Vous y verrez des rosiers couverts de roses, des arbres chargés de fruits, dans les branches desquels perchent des oiseaux aux plumages éclatants. Ce n'est sûrement pas un registre de commerce. Le livre raconte quelque histoire d'amour de prince ou de riche marchand. C'est sans doute un récit des Mille et une Nuits, contes arabes ou des Mille et un Jours, contes persans. Quand il a ce talisman sous les yeux, le lecteur oublie son échoppe enfumée, la vie réelle et se trouve transporté dans le monde doré du rêve.

ჩემს გრძნობას სხვა მიზეზიც აქვს. ვაჭრის ზნეობრივი თვისებების გარდა, სპარსელები, რომლებიც აღმოსავლეთის ბაზრებში ვაჭრობენ, ძირითადად კეთილი, ღიმილიანი, თავაზიანი და სასიამოვნონიც კი არიან. მაშინ, როცა სხვა მუსლიმები მყიდველის მიმართ ცივი, გულგრილი, გაყინული და აუღელვებლები არიან, სპარსელი გადაუჭარბებლად... ინაზღაურებს დანახარჯს. ამას გარდა, ისინი მეოცნებეები, მკითხველები არიან. ხშირად, როდესაც მათ გაჭკვარტლულ დუქანს უახლოვდები, დაინახავ კითხვით გართულ სპარსელს, რასაც ის მყიდველის მისასალმებლად შეწყვეტს. მის წინ გაშლილი წიგნია. სომეხს, ებრაელსა და თურქს წინ ციფრებით დაფარული რაღაც გაუგებარი ნაწერები უდევს, რომელშიც ვაჭარი ყოველ საათს ამოწმებს თავის შემოსავალსა და გასავალს. აქ პირიქით, წიგნს თუ ჩახედავთ, დაინახავთ ლამაზ დამწერლობას, ფაქიზად მოხატულ სურათებს, მორთულ ასოებს და მოხდენილ ჩარჩოებს, ვარდებით დაფარულ ბუჩქებსა და ხილით სავსე ხეებს, რომელთა ტოტებზე მკვეთრი ფერებით შებუმბლული ჩიტები სხედან. რა თქმა უნდა, ეს არ არის სავაჭრო რეესტრი. წიგნი მეფისწულის ან მდიდარი ვაჭრის სასიყვარულო ამბავს მოგვითხრობს. ეს უეჭველად „ათას ერთი ღამის“ არაბული ან „ათას ერთი დღის“² სპარსული ზღაპრებია.

² ნაპოლეონ ნეი გულისხმობს ფრანგი ორიენტალისტის, ლუი XIV-ს თარჯიმნისა და 1692-1713 წლებში Collège de France-ის არაბულის პროფესორის, ფრანსუა პეტი დე ლა კრუას (1653-1713) მიერ 1710-1712 წლებში ფრანგულ ენაზე ხუთ ტომად გამოცემული ზღაპრების კრებულს „ათასი და ერთი დღე“ (Mille et un jours), რომლებიც „ათას ერთი ღამის“ ზღაპრების მაგალითით იყო შედგენილი. დე ლა კრუამ, რომელმაც ათი წელი გაატარა ოსმალეთის იმპერიასა და ირანში, ფრანგულად თარგმნა 1675 წელს ერთი ისფაჰანელი დერვიშისგან შექმნილი სპარსული ზღაპრების კრებული, „ათას ერთი დღე“ (J. Duchesne-Guillemin, “France ix. Image of Persia and Persian Literature Among French Authors,” *Encyclopaedia Iranica*, X/2, pp. 150-154, Katia Zakaria, François Pétis de la Croix, *Les Mille et un jours*, contes persans, texte établi, avec une introduction, des notices, une bibliographie, des jugements et une chronologie par Paul Sebbag, Phébus, Paris, 2003, dans: *L'injure, la société, l'islam*, 103-104, juin 2004, Seconde partie– Lectures, 282-286). <https://journals.openedition.org/remmm/2393>

როდესაც მკითხველს თვალწინ ასეთი თილისმა უდევს, იგი თავის გაბოლილ დუქანსაც ივიწყებს, რეალურ ცხოვრებასაც და ოცნებით ოქროს სამყაროში გადადის.

A Constantinople, à Trébizonde, à Tiflis, à Bakou, dans les bazars de Samarkand et de Bokhara, j'ai retrouvé aux mains des Persans ces livres enluminés à images et à vignettes... Cette fleur de poésie, épanouie dans une sombre boutique de marchand m'a paru bonne à noter en passant. (127)

სპარსელების ხელში მინიატიურებითა და ვინიეტებით მორთული ეს წიგნები მე კონსტანტინოპოლში, ტრაპიზონში, თბილისში, ბაქოში, სამარყანდისა და ბუხარის ბაზრებშიც ვნახე... ვაჭრის ბნელ ფარდულში გაფურჩქნილი პოეზიის ეს ყვავილი აღნიშვნის ღირსი მომეჩვენა.

თარგმნა ირინე ნაჭყებიაძე